სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/58

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2021

მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 აპრილის №751 განკარგულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და ამავე წესდების მე-11 მუხლის, „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №119/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 25-ე მუხლის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 დეკემბრის №01-05-04/189 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 13 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 2 დეკემბრის №01-05-04/189 დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი - მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის შექმნის შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**